ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარინე თავართქილაძე

ნაციონალური სავაჭრო რეჟიმები და GSP/GSP+ სქემის ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2016

ავტორეფერატის სტრუქტურა

საკვლევი თემის აქტუალობა 4

კვლევის მიზანი და ამოცანები 6

კვლევის ობიექტი და საგანი 7

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები 7

კვლევის სამეცნიერო სიახლე: 8

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა 10

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია 11

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა 11

ნაშრომის შინაარსი 13

დასკვნები და რეკომენდაციები 21

გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები: 25

3. თავართქილაძე მ. ქართული ექსპორტის არასატარიფო ბარიერები. ჟურნალი "საქართველოს ეკონომიკა", 2016. http://geoeconomics.ge/s=თავართქილაძე; 26

საკვლევი თემის აქტუალობა

თანამედროვე მსოფლიო საერთაშორისო ვაჭრობის გარეშე წარმოუდგენელია. ხშირ შემთხვევაში სწორედ ვაჭრობაა პოლიტიკური კრიზისის თუ სამხედრო დაპირისპირების შემაკავებელი ან პირიქით წარმომქმნელი ფაქტორი. პროტექციონისტური პოლიტიკა მრავალი წლის განმავლობაში საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა. მისი შეზღუდვა ძალზე ძნელი და წინააღმდეგობებით დატვირთული პროცესია, რომელიც განსაკუთრებით მძიმედ მიმდინარეობს განვითარებად ქვეყნებში. ეროვნული ბაზრის დაცვა უმრავლესი ქვეყნის ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში ეროვნული ბაზრის დაცვის არგუმენტი და ფარული პროტექციონიზმი პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად გამოიყენება, განსაკუთრებით მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნების წინააღმდეგ. ამგვარი პოლიტიკა, ყველა პარტნიორისთვის წამგებიანია. იგი არ აძლევს ქვეყნებს საშუალებას გამოიყენონ შეფარდებითი და აბსოლუტური უპირატესობები, მასშტაბის ეკონომიის ეფექტი და სხვა შესაძლებლობები, რომლებიც მათ ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს. ასეთი ეკონომიკური და პოლიტიკური ცალმხრივი სავაჭრო შეზღუდვებისგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზარალდება ქვეყნის ეკონომიკა. ჩაკეტილი ბაზარი, თავის მხრივ, აკნინებს კონკურენტულ გარემოს და არ აძლევს ეროვნულ წარმოებას სწრაფი განვითარების სტიმულს, რეზერვების სრული დატვირთვისა და ბუნებრივი შერჩევის მექანიზმის ამუშავების საშუალებას.

საბაჟო-სატარიფო პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში. საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის ახალი მიმართულებებისა და საშუალებების მსოფლიო ეკონომიკაში გაჩენიდან გამომომდინარე მნიშვნელოვანია არსებული კავშირების გაფართოებასთან დაკავშირებული

სარგებლის ზრდისკენ მიმართული მუშაობა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში.

ცნობილია, რომ ყველა ქვეყანა, ამა თუ იმ ფორმით, იყენებს საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის ინსტრუმენტებს, რომელთა მეშვეობითაც ისინი აგვარებენ ბევრ იმ პრიორიტეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას, რომლებიც სცილდება ექსპორტ-იმპორტის საქმიანობის ფარგლებს, კერძოდ, მეურნეობის რეფორმირებასა და მოდერნიზაციას, შიდა ფასების განსაზღვრული დონის შენარჩუნებას, წარმოების პერსპექტიული დარგების ზრდის სტიმულირებას, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევსებას, და ა.შ.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესში მკვეთრად შემცირდა საბაჟო გადასახადების საერთო დონე და გაიზარდა ეროვნულ ტარიფებში უბაჟო პოზიციების წილი, ფართო გავრცელება ჰპოვა ახალმა უნივერსალურმა საგარეო ვაჭრობის სასაქონლო ნომენკლატურამ და რეგიონული შეთანხმებების დადების პრაქტიკამ, რომლებიც მათ მონაწილეებს სთავაზობენ პრეფერენციულ საბაჟო-სატარიფო რეჟიმს. ვაჭრობის რეგულირების სფეროში განხორციელდა ძირითადი მრავალმხრივი ორგანიზაციების გარდაქმნა, რასაც თან ახლდა მათთვის მეტი ფუნქციის დაკისრება და რამაც მათი წევრი სახელმწიფოების რაოდენობის ზრდა გამოიწვია. სულ უფრო ფართოდ და ეფექტიანად გამოიყენება საგარეო ვაჭრობის რეგულირების არასატარიფო ზომები, თუმცა, საბაჟო-სატარიფო პოლიტიკა უწინდებურად საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრავს ეროვნულ სავაჭრო რეჟიმს და შიდა ბაზარზე უცხოური წარმოების პროდუქციის შეღწევის პირობებს.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე ქვეყნების უმრავლესობას განსაკუთრებით კი მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, მრავალფეროვანი სავაჭრო რეჟიმები გააჩნიათ თავიანთ პარტნიორ ქვეყნებთან. პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების გამოყენების შესაძლებლობებისა და მოსალონდელი შედეგების შესწავლა, რომელიც უშუალოდ ეხება მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნების,

როგორც ეკონომიკური განვითარების, ასევე მათ რეგიონულ გაერთიანებებში ინტეგრაციის პრობლემებს, განსაკუთრებით აქტუალობით გამოირჩევა. შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმით მოსარგებლე (სხვადასხვა მიმართულებით) დაახლოებით მსოფლიოს ქვეყნების ორი მესამედია. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვაჭრობის სფეროში ისეთი ყოვლისმომცველი ზენაციონალური ინსტიტუტის ფუნქციონირების პირობებში, როგორიც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაა, რომელიც მსოფლიოს 162 ქვეყანას აერთიანებს და ფაქტობრივად განსაზღვრავს საერთაშორისო სავაჭრო წესრიგს, ასეთი რეჟიმები არსებული წესების დარღვევად განიხილება. ამიტომ ანალიტიკური თეორიული კვლევა, როგორც გლობალური სავაჭრო წესრიგის, ისე გამონაკლისების თვალსაზრისით, უდავოდ აქტუალურია.

ნაშრომში ასახულია ევროკავშირის, აშშ-ის, იაპონიის საგარეო სავაჭრო რეჟიმების ზოგიერთი ასპექტის ანალიტიკური შედარება. ხაზგასმულია აღნიშნული ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის დღევანდელი პრიორიტეტები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო პრდუქციის წარმოების ხელშეწყობის შემსუბუქება, სატარიფო განაკვეთების შეზღუდვა, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ეფექტიანი გამოყენება, აშშ-სა და იაპონიის GSP-ის სისტემის გაფართოება.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია ნაციონალური სავაჭრო რეჟიმების გაანალიზების საფუძველზე მათი მნიშვნელობის შეფასება განვითარებადი მცირე ღია ეკონომიკების, კერძოდ საქართველოს საგარეო ვაჭრობის გაფართოებისათვის.

ქვემიზანს წარმოადგენს პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების როლის გამოვლენა ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირებისათვის.

აღნიშნულის საფუძველზე დასახულ იქნა შემდეგი **ამოცანები:**

- საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმების ანალიზი მსოფლიო ეკონომიკაში მათი მნიშვნელობისა და როლის განსაზღვრისათვის, ასევე მცირე ღია ეკონომიკების საგარეო ვაჭრობის განვითარების უზრუნველყოფისათვის;
- პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების და ეკონომიკურ განვითარებაზე მათი ზემოქმედების კონცეპტუალური საფუძვლის გამოკვლევა და ჩამოყალიბება;
- ცალმხრივი სატარიფო პრეფერენციებისა და პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების დახასიათება და მათი მნიშვნელობის განსაზღვრა რეგიონული განვითარების უზრუნველყოფისათვის;
- ევროკავშირის, აშშ-სა და იაპონიის სავაჭრო პრეფერენციებით სარგებლობის გაანალიზება საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის ფორმირებისათვის;
- არასატარიფო ბარიერების იდენტიფიცირება და ქართული პროდუქციის ექსპორტზე გატანის პროცესის შეფასება;
- საქართველოსთვის დაწესებული პრეფერენციული რეჟიმების გამოყენების შედეგების გაანალიზება ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

კვლევის ობიექტი და საგანი

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმები, როგორც თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი.

კვლევის საგანია პრეფერენციათა განზოგადებული სისტემები, ფორმები და ინსტრუმენტები გლობალიზაციისა და რეგიონული ინტეგრაციის პროცესების ინტენსიფიკაციის პირობებში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორიები, რომელიც ეფუძნება დ. რიკარდოს შეფარდებით უპირატესობათა პრინციპს და ჰექშერ-ოლინის წარმოების ფაქტორების თეორიას, ასევე თეორიების ახალი ჯგუფი, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობის სხვა,

კლასიკური თეორიებისგან პრინციპულად განსხვავებულ ახსნას გვთავაზობენ. მათ ეკუთვნის წარმოების მასშტაბის ზრდის ეფექტის თეორია, საერთაშორისო ვაჭრობის დინამიური მოდელები და სხვა. ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს, ასევე ეკონომიკური განვითარების თეორიები, ეკონომიკური სტრუქტურალიზმი და დამოკიდებულების თეორია. ნაშრომში გაანალიზებულია როგორც საზღვარგარეთის, ისე ქართველ მეცნიერთა თეორიული გამოკვლევები, მათ შორის აღსაღნიშნავია: აბრალავა ა., ანანიაშვილი ი., ბერუჩაშვილი თ., გოგორიშვილი ი., გველესიანი რ., ზალდასტანიშვილი კ., თოდუა ნ., თოქმაზიშვილი მ., ლეკაშვილი ე., მექვაბიშვილი ე., მესხია ი., პაპავა ვ., პაპაჩაშვილი ნ., სეფაშვილი ე., სილაგაძე ა., სიხარულიძე დ., ფუტკარაძე რ., ღაღანიძე გ., ყორღანაშვილი ლ., შაბურიშვილი შ., შენგელია თ., ჩიკვაიძე თ., ხადური ნ., ჯამაგიძე ლ., ჯიბუტი მ., ჯოლია გ., და სხვები, რომლებიც იკვლევენ საერთაშორისო ეკონომიკის საკითხებს.

ჩატარებული კვლევა ეყრდნობა საგარეო ვაჭრობის, სატარიფო და არასატარიფო ბარიერების სტატისტიკის შესახებ ვაჭრობის მსოფლიო ორგანზაციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებს და რეკომენდაციებს, პერიოდულ გამოცემათა მასალებს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ განვითარების გზამკვლევებისა და სახელმძღვანელოების ანალიზს.

ნაშრომი ეფუძნება ინდუქცია-დედუქციისა და დიალექტიკის ზოგად მეთოდოლოგიას. მასში გამოყენებულია ლოგიკური ანალიზისა და სინთეზის, აგრეთვე სტატისტიკური მეთოდები. სტატისტიკური მეთოდები მოიცავს: დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდებს (მათ შორის კორელაციურ-რეგრესული ანალიზის მეთოდს).

კვლევის სამეცნიერო სიახლე:

- კვლევის შედეგად გამოვლენილია საერთაშორისო ვაჭრობის რეჟიმების მნიშვნელობა მსოფლიო სავაჭრო სისტემაში განვითარებადი ქვეყნების

ადგილისა და ფუნქციის განსაზღვრისათვის. დადგენილია სხვადასხვა პრეფერენციული სატარიფო რეჟიმის მზარდი როლი აღნიშნული ქვეყნების საგარეო ვაჭრობის გაფართოებაში (დისეტრაციის გვ. 15-32);

- პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმებისა და ეკონომიკურ განვითარებაზე მათი ზემოქმედების თეორიული კვლევის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების გამოყენების შედეგთა კონცეპტუალური საფუძველი. საერთაშორისო ვაჭრობის, ეკონომიკური სტრუქტურალიზმის და მისი ძირითადი მიმართულების – დამოკიდებულების თეორიების შედარებითი განხილვის საფუძველზე, არგუმენტირებულია მოსაზრება ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ავტონომიურობის საწინააღმდეგოდ, ამავე დროს, ნაწილობრივი წონასწორობის მოდელის საფუძველზე წარმოდგენილია ვაჭრობის პრეფერენციული რეჟიმები, როგორც განვითარებადი ქვეყნების განვითარებულ სახელმწიფოებთან დაახლოების ინსტრუმენტი და სავაჭრო ნაკადების გაფართოების შესაძლებლობა (დისეტრაციის გვ. 15-27);
- ცალმხრივი სატარიფო პრეფერენციებისა და პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ამგვარი რეჟიმების ორმხრივი სარგებელი რეგიონული განვითარების საზღვრებში (სავაჭრო ნაკადების გაფართოება, ექსპორტის დივერსიფიცირება, დანაკარგების ეკონომია. (დისეტრაციის გვ. 25-27, 53-59);
- პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების განხილვის საფუძველზე დადგენილია მათი გამოყენების დონე და ეფექტები საქართველოს საგარეო ვაჭრობაში, ამავე დროს აგრუმენტირებულია სავაჭრო რეჟიმების შესაძლებლობათა გამოყენების საზღვრების გაფართოება, როგორც მნიშვნელოვანი გზა (გარდამავალ პერიოდში), რომელიც შეუწყობს ხელს ევროკავშირის ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრირებას (დისეტრაციის გვ. 133-155);

- ვაჭრობის სტატისტიკურ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, საქართველოს მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორთან – ევროკავშირთან ჩატარებული კორელაციურ-რეგრესული ანალიზის საფუძველზე შეფასებულია სავაჭრო რეჟიმების გავლენა ექსპორტ-იმპორტის ზრდის დინამიკაზე. ექსპორტ-იმპორტის შესახებ მონაცემთა ანალიზისას აღებული 15 წლიანი პერიოდი (2000-2014 წლები) დაყოფილ იქნა 5 წლიან ინტერვალებად, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა სამი ქვეპერიოდი. პირველ და მეორე პერიოდში იმპორტის ზრდის ტემპი გაცილებით მაღალია ექსპორტთან შედარებით, ხოლო მესამე პერიოდში ნათლად ჩანს, რომ ექსპორტის ზრდა იმპორტის ზრდის მაჩვენებელს კვლავ ჩამორჩება, თუმცა, წინა პერიოდებისაგან განსხვავებით, ექსპორტი იწყებს სწრაფ ზრდას და უახლოვდება იმპორტის ზრდის მაჩვენებელს. სავაჭრო რეჟიმების გავლენით დადგენილია ექსპორტის სტრუქტურის ცვლილება დივერსიფიცირების მიმართულებით (დისეტრაციის გვ. 120-132);
- თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგად შეფასებულია ქართული პროდუქციის ექსპორტზე გატანის პროცესი, იდენტიფიცირებულია არასატარიფო ბარიერები. კვლევის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები ექსპორტის ხელშეწყობისა და სტიმულირებისათვის (დისეტრაციის გვ. 161-180);
- შემოთავაზებულია პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების ეფექტების კვლევებისადმი მეთოდური მიდგომა, რაც გამოიხატება კვლევის ეტაპების განსაზღვრაში რელევანტური შედეგების მისაღებად (დისეტრაციის გვ. 161-162; 166-167).

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

წარმოდგენილ დისერტაციას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი გამოყენება შეუძლია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს: სახელმწიფო სტრუქტურებს, კერძო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სექტორებს. იგი მოსახერხებელი წყაროა პრაქტიკოსებისთვის საერთაშორისო ვაჭრობის

განვითარების ინსტრუმენტების გასაცნობად, შიდა ვაჭრობის საბაჟო-სატარიფო რეგულირების ინსტრუმენტების სრულყოფისა და ეფექტიანობის გასაზრდელად, აგრეთვე, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ და საქმიანი წრეების სხვა გაერთიანებებმა - შიდა ეკონომიკური საქმიანობის აქტიურმა თუ პოტენციურმა მონაწილეებმა, შესაძლოა გამოიყენონ მეწარმეთათვის საინფორმაციო-საკონსულტაციო შინაარსის მასალების მოსამზადებლად.

ამასთან, სადისერტაციო ნაშრომი შეიძლება გამოყენებულ იქნეს უნივერსიტეტების შესაბამის ფაკულტეტებსა და პროგრამებზე სწავლების პროცესში. აღნიშნული ნაშრომი ინფორმატიული იქნება კვლევის ამ მიმართულებით დაინტერესებული კვლევითი ჯგუფებისთვის, ასევე საკონსულტაციო კომპანიებისთვის.

ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია

სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული თავები განხილულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკისა და საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრებზე, გარდა ამისა, კვლევის ძირითადი შედეგები წარდგენილ იქნა რომსა და ბუქარესტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებზე. კვლევის ძირითადი შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები გამოქვეყნებულია ჟურნალებსა და სამეცნიერო ნაშრომთა კრებულებში, მათ შორის, ტომსონ როიტერის ინდექსირებულ შრომებში.

ნაშრომმა დასრულებული სახით საბოლოო აპრობაცია გაიარა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე. კვლევა რეკომენდირებული იქნა საჯარო დაცვისათვის.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი წარმოდგენილია შესავლის, სამი თავის, ცხა ქვეთავის, დასკვნითი ნაწილისაგან და შეადგენს კომპიუტერზე ნაბეჭდ 194 გვერდს. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

შესავალი

თავი 1. გლობალური სავაჭრო სისტემა და საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმები

1.1 საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმების კვლევის თეორიული საფუძვლები

1.2 ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემა და ვმო-ის ძირითადი შეთანხმებები

1.3 გამონაკლისები ვმო-ის ძირითადი პრინციპებიდან და პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა

თავი 2. პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების გავლენა მსოფლიო ეკონომიკაში მცირე ქვეყნების ინტეგრირების წესრიგზე

2.1 ცალმხრივი სატარიფო პრეფერენციები და პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებები

2.2 ევროკავშირის GSP/GSP+ სქემები

2.3 ამერიკის შეერთებული შტატების GSP სქემა

2.4 იაპონიის GSP სქემა

თავი 3. საქართველოს საგარეო ვაჭრობა: რეალობა და პერსპექტივები

3.1 საქართველოს სავაჭრო რეჟიმების ანალიტიკური განხილვა;

3.2 საქართველოსთვის დაწესებული GSP რეჟიმების, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

ნაშრომის შინაარსი

თავი 1. გლობალური სავაჭრო სისტემა და საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმები

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა გლობალური სავაჭრო სისტემისა და საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმების განხილვას, გაანალიზებულია საბაჟო ტარიფის გამოყენების წესების თვალსაზრისით სავაჭრო რეჟიმების ძირითადი სახეობები,

წარმოდგენილია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემა და ვმო-ის ძირითადი შეთანხმებები.

კვლევის კონცეპტუალური საფუძვლის ჩამოსაყალიბებლად მივმართეთ საერთაშოროსო ვაჭრობის კლასიკურ თეორიებს, რომლებიც ასაბუთებენ თუ რა მიმართულებით უნდა მოხდეს ქვეყნის სპეციალიზაცია. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე პერიოდში, უმეტესწილად, ბუნებრივად გამოკვეთილია სპეციალიზაციის მიმართულებები. ამრიგად, ვაჭრობის კლასიკური თეორიების გარდა, გავაანალიზეთ განვითარებადი ქვეყნების თეორიებიც, რადგან ჩვენი ქვეყანა სტრუქტურულად ძალიან ჰგავს განვითარებად ქვეყნებს. აქცენტი გავაკეთეთ ეკონომიკურ სტრუქტურალიზმსა და დამოკიდებულების თეორიაზე.

ეკონომიკური სტრუქტურალიზმისა და დამოკიდებულების თეორიის მომხრეებს შეგვიძლია დავეთანხმოთ იმ მიმართულებით, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საფუძველი ნამდვილად შესაძლოა იყოს ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სტუქტურული ცვლილებები, თუმცა მიგვაჩნია, რომ განვითარებული სახელმწიფოების განვითარებულ ქვეყნებთან ეკონომიკური იზოლაციით ვერ მოხდება ქვეყნების ეკონომიკური განვითარება, უფრო მეტიც აუცილებელია განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭრო კავშირების გაფართოება, რომლის მნიშნელოვან ინსტრუმენტსაც წარმოადგენს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP). აღნიშნული სქემების ეფექტიანი გამოყენებით იზრდება მოხმარებისა და განათლების დონე, ხელი ეწყობა მოთხოვნის განვითარების პროცესს, სამუშაო ძალის კვალიფიკაცის ამაღლებას, რომლებიც განვითარებული ქვეყნებისათვის აწარმოებენ პროდუქციას. ყოველივე აღნიშნული კი იწვევს იმპორტჩანაცვლებით ინდუსტრიალიზაციას. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის თეორიული ანალიზისა და განვითარებადი ქვეყნების ვაჭრობის პირობების გაუმჯობესების დემონსტრირებისათვის გამოვიყენეთ ნაწილობრივი წონასწორობის მოდელი (Partial equilibrium model).

სატარიფო შეღავათების ეკონომიკური ეფექტები შესწავლილია მცირე ქვეყნის მაგალითზე, რომელსაც არ შეუძლია გავლენა მოახდინოს იმ საქონლის მსოფლიო ფასზე, რომლითაც ვაჭრობს. ეს რეალობაშიც ასეა, რადგან GSP+ სარგებლის მიმღებ ქვეყნებს არ უჭირავთ მსოფლიო ვაჭრობის მნიშვნელოვანი წილი. ანალიზის შედეგად დავადგინეთ, რომ ბენეფიციარი ქვეყნისთვის მოგება ორი მიზეზით წარმოიქმნება. პირველი - უფრო დაბალი ტარიფები მწარმოებლებს აძლევენ უფრო მაღალი ფასების დაწესების შესაძლებლობას. მეორე - წარმოების მოცულობა ექსპორტიორ ქვეყანაში იზრდება სავაჭრო კავშირების გაფართოებით. შესაბამისად, პრეფერენციები შეიძლება განხილულ იქნან როგორც რესურსის ნებაყოფლობით გადაცემად დონორი ქვეყნიდან ბენეფიციარ ქვეყანაზე.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემისა და ვმო-ის ძირითადი შეთანხმებების განხილვისას საკითხი წარმოდგენილია აღნიშნული ორგანიზაციის ისტორიული ევოლუციისა და ვაჭრობის თანდათანობითი ლიბერალიზაციის ჭრილში; საკითხი ლოგიკურად გრძელდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი საქონლით ვაჭრობის წესებიდან გამონაკლისებზე აქცენტირებით, რამდენადაც პრეფერენციული რეჟიმები სწორედ გამონაკლისებს განეკუთვნება.

თავი 2. პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების გავლენა მსოფლიო ეკონომიკაში მცირე ქვეყნების ინტეგრირების წესრიგზე

მეორე თავი ეძღვნება მსოფლიო ეკონომიკაში მცირე ქვეყნების ინტეგრირების წესრიგზე პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების გავლენის შესწავლა-გაანალიზებას. ნაშრომში ფართოდ არის წარმოდგენილი ევროკავშირის, აშშ-ისა და იაპონიის სავაჭრო პრეფერენციებით სარგებლობის ასპექტები.

ვმო-ს ყველა წევრ ქვეყანაზე (162 წევრი), მათ შორის, ევროკავშირზეც ვრცელდება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN), რომლის თანახმადაც, ნებისმიერი პრივილეგია, რომლითაც სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის

რეჟიმის მქონე ქვეყნის პროდუქცია, უნდა მიენიჭოს ყველა ვმო-ის წევრი ქვეყნის მსგავს პროდუქციას. თუმცა აღნიშნულ რეჟიმზე ვრცელდება გამონაკლისები, მათ შორის ერთ-ერთია პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა.

ნაშრომში დეტალურადაა შესწავლილი ევროკავშირის GSP-ს სქემის კატეგორიები:

- ვაჭრობა ქვოტების და ტარიფების გარეშე ყველაზე ნაკლებად განვითარებული 49 სახელმწიფოსთვის (**Everything But Arms (EBA**)).
- სპეციალური პრეფერენციები მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობისათვის (**GSP+**). სქემით სარგებლობს 13 ქვეყანა მათ შორის: სომხეთი, ბოლივია, კაპე-ვერდე, პაკისტანი, გვატემალა, საქართველო, კოსტა-რიკა, მონღოლეთი, პანამა, პარაგვაი, პერუ, ფილიპინები, სალვადორი.
- **GSP**–პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის ყველა ბენეფიციარი ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი პრეფერენციები (**GSP).** აღნიშნული სქემით სარგებლობს 30 ქვეყანა.

ნაშრომში გადმოცემულია ევროკავშირის GSP/GSP+ სქემების გამოყენების ინსტრუქციები და მოწოდებულია ინფორმაცია "დაცვითი დებულების" და „გრადუირების მექანიზმის" შესახებ. სექტორები, რომელთა მიმართაც გამოიყენება "გრადუირების" მექანიზმი, განისაზღვრება "ქვეყნის განვითარების ინდექსის" და მოცემულ სექტორში "ფარდობითი სპეციალიზაციის ინდექსის" კომბინირებული გამოყენებით, რომელთა გაანგარიშების ფორმულები მოცემულია ნაშრომში.

აღსანიშნავია, რომ პრეფერენციათა მისაღებად ევროკავშირის საბაჟო ორგანოებში წარდგენილი უნდა იქნეს წარმოშობის ქვეყნის დამადასტურებელი სერთიფიკატი "ევრო 1", რომელსაც გასცემს ბენეფიციარი ქვეყნის კომპეტენტური ორგანო. პროდუქცია, რომელიც არ არის "მთლიანად წარმოებული" ბენეფიციარ ქვეყანაში, ჩაითვლება "მასში წარმოებულად", თუ მან აქ განიცადა ე.წ. "საკმარისი გადამუშავება". ევროკავშირის მიერ დაწესებული იმპორტირებული პროდუქციის შემცველობის მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი მერყეობს 25-40%-ის ფარგლებში.

ანალოგიურად გაანალიზებულია აშშ-ს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა, მისი მონაწილეები, დაფარული პროდუქცია, გამოყენების სქემები და სხვა. სქემა გაფართოვდა 2013 წელს და მოქმედებს 2017 წლამდე, მოიცავს 5000-მდე დასახელების პროდუქციას და ვრცელდება 122 ქვეყანაზე. საქართველოს წილი GSP–ის ბენეფიციარი ქვეყნების იმპორტის 6% შეადგენს, ხოლო აშშ-ს მთლიანი იმპორტის 1%-ს. აღნიშნული სქემით დაფარული საქონლიდან უმრავლესობა წარმოადგენს დასრულებულ სამრეწველო პროდუქციას და ნახევარფაბრიკატებს, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარკვეულ კატეგორიებს, მაგრამ შეზღუდული ოდენობითაა წარმოდგენილი საქონლის ის კატეგორიები, რომლებიც აშშ-სთვის "საიმპორტოდ მგრძნობიარედ" ითვლებიან, მაგალითად, საფეიქრო ნაწარმი, ტანსაცმელი, არსებობს შეზღუდვები მაჯის საათებზე და სხვა.

იაპონიის GSP რეჟიმში მოქცეულია საქართველოსთვის საექსპორტო პრიორიტეტად აღიარებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, გარდა ამისა, იაპონიის GSP სქემის მიხედვით 100%-იანი შეღავათები ვრცელდება სამრეწველო პროდუქციის ძალზე ფართო სპექტრზე, თუმცა ამოღებათა ნუსხაში მოხვედრილია: ტყავის ტანსაცმელი, ბეწვეულის ტყავები, აბრეშუმის ჭიის პარკი, ნედლი აბრეშუმი და სხვა. საქართველოს ექსპორტი იაპონიაში ბოლო წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება, მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა დღეს უკვე შედარებით გამარტივებულია, შეღავათებით სარგებლობისთვის მნიშვნელოვანია გაიზარდოს მეწარმეების მეტი ინფორმირება და ჩართულობა, რაც ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას და ექსპორტის დივერსიფიცირებას შეუწყობს ხელს.

თავი 3. საქართველოს საგარეო ვაჭრობა: რეალობა და პერსპექტივები

მესამე თავში წარმოდგენილია საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და განხილულია საგარეო ვაჭრობის

პერსპექტივები. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი ტენდენციები 2000-2014 წლებში. ფართო ადგილი ეთმობა ევროკავშირთან ვაჭრობის ანალიზს. საილუსტრაციოდ აღნიშნული დროის მონაკვეთი დაყოფილია 3 პერიოდად. რეგრესული ანალიზით გამოვლენილია კორელაცია შეღავათიანი რეჟიმით სარგებლობასა და მის შედეგს შორის, რაც ევროინტეგრაციულ დაჯგუფებასთან საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზრდაში გამოიხატება. ექსპორტის ზრდის ტემპისა და იმპორტის ზრდის ტემპის შედარებისას მიღებულია დასკვნა, რომ 2010-2014 წლებში ექსპორტის ზრდის ტემპი უახლოვდება იმპორტის ზრდის ტემპს.

ნაშრომის მომდევნო ნაწილში გადმოცემულია ინფორმაცია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების, როგორც GSP+-ის სამართალმემკვიდრის შესახებ. გაანალიზებულია ევროკავშირში შეღავათიანი რეჟიმით მოსარგებლე საქართველოს ექსპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით. ფართო ადგილი ეთმობა თხილის ექსპორტის საკითხის განხილვას, რამდენადაც იგი უმსხვილესი საექსპორტო პოზიციაა.

თავისუფალი ვაჭრობის ძალაში შესვლისთანავე საქართველოში წარმოებული საქონლის იმპორტზე ევროკავშირში საბაჟო გადასახადი გაუქმდა, თუმცა იმპორტირებული პროდუქციის ნაწილზე განსაზღვრულია ევროკავშირში "შესვლის ფასი" და "გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი". აღნიშნული შეზღუდვების გარდა, კვლევის პროცესში ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა არასატარიფო ბარიერები,

რომელიც ხელს უშლის ქართულ კომპანიებს პროდუქციის ექსპორტში. სწორედ შეღავათიანი რეჟიმებით სარგებლობისას ექსპორტიორთათვის ძირითადი დაბრკოლებების გამოსავლენად ჩავატარეთ ემპირიული და თვისებრივი კვლევა. საწყის ეტაპზე ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული 15 ჩაღრმავებული ინტერვიუ და 3 ფოკუს ჯგუფი, რომლის საფუძველზე შემუშავდა კითხვარი, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა დასახული, რელევანტური შედეგები მიგვეღო

ემპირიული კვლევის განხორციელებისას. სულ დაიგზავნა 360 კითხვარი, სრულყოფილად შევსებული მივიღეთ 148 ცალი.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტები ექსპორტირების პროცესს და მასთან დაკავშირებულ პროცედურებს საკმაოდ კარგად იცნობდნენ. უმრავლესობის შეფასებით, ქართული პროდუქციის ექსპორტზე გატანა შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს და ამიტომ მათთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა პროცესთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბარი. თუმცა კვლევის ფარგლებში მაინც გამოვლინდა ცალკეული საკითხები, რომელიც მნიშვნელოვანია ქართული ბიზნესისთვის. აღსანიშნავია, რომ სირთულეები, რომელზეც რესპონდენტები საუბრობდნენ, უფრო მეტად ქვეყნის სხვა გლობალურ საკითხებთან არის დაკავშირებული, კერძოდ:

- არაადგილობრივ კომპანიებთან ბიზნესურთიერთობის ჩამოყალიბებისთვის და შესაბამისად პროდუქციის ექსპორტისთვის, მნიშვნელოვანია, ქართულ კომპანიებს შეეძლოთ მოთხოვნის შესაბამისი პროდუქციის წარმოება (ამ შემთხვევაში საუბარია თხილის დიდ რაოდენობაზე) და მიწოდების უწყვეტობის უზრუნველყოფა.
- დიდი მოცულობის ტვირთის ექსპორტზე გატანა დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული პრობლემა აქვთ იმ კომპანიებს, რომლებიც პროდუქციის ექსპორტს საზღვაო ტრანსპორტით ახორციელებენ. სირთულეს წარმოადგეს ქართული პორტები, სადაც დიდი გემები ვერ შედიან ზღვის წყლის დაბალი სიღრმის გამო.
- კომპანიებს შორის საექსპორტო პროდუქციის ექსკლუზივზე შეთანხმების დარღვევა შესაძლოა მოხდეს სხვა მესამე პირის/ორგანიზაციის გამო.
- სახელმწიფო დონეზე არ რეგულირდება ე.წ. შუამავალი რგოლის საქმიანობა, განსაკუთრებით თხილის ექსპორტით დაკავებულ ორგანიზაციებს არარეგულირებული გადამყიდველების პრაქტიკა ხელს უშლის საქმიანობაში.

- პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმებისა და DCFTA-ს შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენებისათვის სერტიფიკატების აღებასთან დაკავშირებით არსებობს ორმაგი სტანდარტები.
- ქართული პროდუქციის დაბალი ცნობადობა. ექსპორტზე გატანის აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ კომპანიას ჰქონდეს შესაბამისი სერტიფიკატები, რომლებიც ცვალებადია პროდუქტის სპეციფიკიდან გამომდინარე. კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. როგორც მათთან საუბარში გაირკვა, ზოგიერთი ორგანიზაცია ხარისხს საკუთარი ლაბორატორიის საშუალებით ამოწმებს. თუმცა ეს ყოველთვის საკმარისი არ არის ევროპელი პარტნიორებისთვის. ხშირად ისინი ითხოვენ აკრედიტებული, დამოუკიდებელი ლაბორატორიის დასკვნას. ასეთ შემთხვევაში სერტიფიკატის აღება ხდება:

- *საქართველოში არსებულ ლაბორატორიებში* - თუმცა ადგილობრივად არ არის შესაძლებელი ყველა პროდუქტის ხარისხის შემოწმება (მაგალითად, თაფლის);
- *საზღვარგარეთ არსებულ ლაბორატორიებში* - ასეთ შემთხვევაში ან შესამოწმებელი პროდუქციის გაგზავნა ხდება, ან ადგილზე ხდება ლაბორატორიის წარმომადგენლების ჩამოყვანა. ორივე შემთხვევაში ქართული კომპანიისთვის ეს დამატებითი ხარჯია.

- ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი სავალდებულო დოკუმენტია, რომლის გარეშეც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტზე გატანა შეუძლებელია. მონაწილეები ცალსახად აღნიშნავენ, რომ მის აღებასთან დაკავშირებით პრობლემები არასოდეს ჰქონიათ. ეს პროცესი არც დიდ დროსთან და არც დიდ ფინანსურ რესურსთან არ არის დაკავშირებული.
- ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატი (ISO) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელიც ეხმარებათ სხვადასხვა კომპანიებთან პარტნიორობის დამყარებაში. აღსანიშნავია, რომ ISO სერტიფიკატის ქონა სავალდებულო მოთხოვნა არ არის, თუმცა მისი არსებობა ცალსახად ზრდის ორგანიზაციის მიმართ ნდობას.

თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისა და პრეფერენციული რეჟიმების მიმართ რესპონდენტების სრულ უმრავლესობას ზოგადი, დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა. უმეტესობა ასახელებდა, რომ:

- ბიზნესი გათავისუფლდა ექსპორტის გადასახადისგან - თუმცა რესპონდენტთა უმეტესობა ცალსახად აღნიშნავდა, რომ არც მანამდე იხდიდნენ. მათი ვარაუდით, ეს სარგებელი უფრო სხვა სფეროში მოღვაწე კომპანიებს შეეხო;
- გაიზარდა ნდობა ქართული პროდუქციის მიმართ - ის ფაქტი, რომ ევროკავშირმა ნდობა გამოუცხადა საქართველოს, ბიზნეს პარტნიორებზეც გავრცელდა და შესაბამისად, გაიზარდა ქართულ პროდუქციაზე მოთხოვნა;
- გამკაცრდა ხარისხის კონტროლი - შეცვლილი რეგულირებით ფიტოსანიტარული სერტიფიკატის გაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი ესწრება ტვირთის დალუქვას.

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის შედეგები შეჯამებულია ნაშრომში კროსტაბულაციური ცხრილებისა და დიაგრამების ფორმატით, გამოკვეთილია პრობლემები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

დასკვნები და რეკომენდაციები

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია ნაციონალური სავაჭრო რეჟიმები და აშშ-ის, იაპონიისა და ევროკავშირის პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების ფუნქციონირების მექანიზმები. ანალიზის შედეგები საინფორმაციო სივრცეს ქმნის ქართველი ექსპორტიორებისთვის განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის პრაქტიკასთან დაკავშირებული შესაძლებლობებისა და პრობლემების მხრივ.

პრეფერენციული რეჟიმებისა და DCFTA-ს შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენებისათვის ჩატარებულია არასატარიფო ბარიერების თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა, რომელმაც გამოავლინა რომ:

- მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წყაროსგან გამოვითხოვეთ ექსპორტიორთა შესახებ ინფორმაცია, მონაცემთა ბაზებში აღმოჩენილი იქნა უზუსტობები, რაც ჩვენს ქვეყანაში აღრიცხვიანობის სერიოზულ პრობლემებზე მიუთითებს.
- კვლევაში გამოვლინდა, რომ ექსპორტიორთა უმრავლესობას (88%-ს) პარტნიორმა კომპანიიამ პროდუქციის მიღებისთვის სერთიფიკატი მოსთხოვა. რაც შეეხება სერთიფიკატის უშუალო ტიპს, დადგინდა, რომ საერთაშორისო პარტნიორები, მიუხედავად ქვეყნისა, ძირითადად წარმოშობისა და ხარისხის სერთიფიკატებს ითხოვენ.
- ორგანიზაციების მხოლოდ მესამედს (33%-ს) აქვს საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატი. ის კომპანიები, რომლებიც ასეთ სერთიფიკატებს უკვე ფლობენ, ასახელებენ, რომ მათ ხარისხისა (ISO 9000) და პროდუქტის უვნებლობის (ISO 22000) სერთიფიკატები აქვთ;
- მნიშვნელოვანია ისიც, რომ იმ ორგანიზაციების (რომლებსაც სერთიფიკატი გააჩნიათ), უმეტესობამ ის საქართველოში - უცხოელი ექსპერტის მეთვალყურეობის ქვეშ აიღო;
- ასევე გამოიკვეთა, რომ საქართველოში არ გაიცემა ჯანმრთელობისა და CA სერთიფიკატები; მათი საზღვარგარეთ აღება კი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული;
- აღსანიშნავია, რომ საზღვარგარეთ აღებული სერთიფიკატების რაოდენობა მცირერიცხოვანია, რაც სავარაუდოდ სერთიფიკატის მოპოვების გაზრდილ ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული;
- კვლევის დროს გამოვლინდა თითოეული პროდუქტის მიხედვით მოთხოვნილი სერთიფიკატის უშუალო ტიპიც. როგორც აღმოჩნდა, საერთაშორისო პარტნიორები ითხოვენ შემდეგ სერტიფიკატებს: წყლის შეძენისას ძირითადად „ევრო 1“-ს, თხილზე– წარმოშობისა და ISO-ს, წვენებზე – ხარისხის, ბიო-ორგანულს, ISO-ს და წარმოშობის, ღვინოზე – წარმოშობისა და შესაბამისობის,

ლითონებზე – წარმოშობისა და ხარისხის, ნედლ ნავთობზე, სასუქებსა და ქიმიკატებზე კი – წარმოშობის სერთიფიკატებს;

- საექსპორტო საქმიანობაში არსებულ ზოგადი ბარიერებიდან თითქმის ყოველი მეათე (8%) პრობლემურ საკითხად ქართული პროდუქციის დაბალ ხარისხსა და დაბალ ცნობადობას (6%) მიიჩნევს. ამავე დროს, ექსპორტის ზოგად ბარიერებში სახელდება ისეთი საკითხებიც, როგორიცაა მცირე მეწარმეების ცოდნის, გამოცდილებისა და შესაბამისი კონტაქტების ნაკლებობა;
- უშუალოდ გამოკითხული ორგანიზაციისთვის შექმნილი პრობლემების გაანალიზების შედეგად, 10 გამოკითხულიდან 6 მიიჩნევს, რომ პირადად მის ორგანიზაციას არანაირი ბარიერი არ შექმნია (61%). ექსპორტიორთა ნაწილი, რომლებიც პრობლემებზე საუბრობდნენ, ექსპორტის ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებდნენ საკანონმდებლო ჩარჩოს (6%), რადგან თვლიან, რომ მოუწესრიგებელია როგორც შესყიდვების პროცესი, ასევე კანონმდებლობა და რეგულაციები;
- მოვახდინეთ გამოკითხულ ორგანიზაციათა კლასიფიკაცია გადამხდელის სტატუსის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ორგანიზაციების ნახევარზე მეტი მსხვილი მეწარმეა, რომელთაც სავარაუდოდ მეტი გამოცდილება აქვთ და ნაკლებად ექმნებათ პრობლემები;
- კვლევის ერთ-ერთ ამოცანას იაპონიისა და ამერიკის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის (GSP) გავლენის შეფასება წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ორგანიზაცია მის გავლენას უარყოფითად არ აფასებს. რესპონდენტთა უმეტესობა GSP-ს გავლენას ორგანიზაციის საქმიანობაზე დადებითად აფასებს;
- ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შეფასების შედეგად, ევროპის ქვეყნებში მოვაჭრე ორგანიზაციათა უდიდესი ნაწილი (98%) მის გავლენას დადებითად აფასებს;

- ის რესპონდენტები, რომლებიც ხსენებული შეთანხმებების კონკრეტულ ზეგავლენას ასახელებენ, მიიჩნევენ რომ დადებითია სატარიფო ბარიერების მოხსნა (12%) და ქართული პროდუქციის მიმართ ნდობის ფაქტორის ზრდა (10%), რაც სამომავლო პერსპექტივაში ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს;
- კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ექსპორტიორთა უმრავლესობა (65%) 5 წელზე მეტია, რაც საექსპორტო საქმიანობითაა დაკავებული;
- კომპანიაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის მხრივ კი, ორგანიზაციათა თითქმის 2/3-ს 50-მდე თანამშრომელი ჰყავს;
- საექსპორტო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალის მთლიან შემოსავალთან გამოკვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ნახევარზე მეტი ორგანიზაციისთვის (58%) შემოსავლების 80%-დან 100%-მდე ექსპორტიდან მოდის;
- გადამხდელის სტატუსის მიხედვით კი ნახევარზე მეტი ორგანიზაცია (56%) მსხვილი მეწარმეა, რაც იმედს გვაძლევს, რომ საერთაშორისო ვაჭრობის დროს ორგანიზაცია მრავალი ბარიერისგან იქნება დაცული.

პრეფერენციული რეჟიმებისა და DCFTA–ს ეფექტიანი გამოყენებისათვის სასურველია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის მისი საექსპორტო პოტენციალის შეფასებით და იმ სექტორების განსაზღვრით, რომლებშიც საქართველო, შესაძლოა, კონკურენტულ უპირატესობას ფლობდეს;
- მიზნობრივი სექტორული პროგრამებისა და ინიციატივების შემუშავება კონკურენციულ უპირატესობათა მქონე დარგებში;
- სრასატარიფო ღონისძიებებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისათვის სერტიფიცირების პროცედურებში დახმარება, კონსულტაციების ჩატარება, ფერმერთა სახლებისა და ტრენინგ-ცენტრების როლის ზრდა;

- ბაზამკვლევების შექმნა მწარმოებლებისთვის, სადაც მოცემული იქნება ვაჭრობასთან დაკავშირებული სპეციფიკური ინფორმაცია;
- განვითარებული ქვეყნების სტანდარტებთან (ISO, IEC, CEN, CENELEC) დაახლოების კონკრეტული ღონისძიებების ფორმირება მიზნობრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბების საფუძველზე.
- მეწარმეთა საპარტნიორო ფონდების შექმნა, რაც შუამავალი კომპანიების რგოლის ჩანაცვლებას გამოიწვევს.

საქართველოში ახალი სტანდარტებისა და ტექნიკური რეგულაციების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა პოზიტიურ გავლენას იქონიებს სოფლის მეურნეობის სექტორზე. სასოფლო-სამეურნეო სექტორი აღნიშნული სტანდარტების საფუძველზე ორიენტირებული იქნება იმ პროდუქციის წარმოებაზე, რომელსაც რეალიზაციის პერსპექტივები ექნება ევროკავშირისა და სხვა განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე. ამავდროულად, მაღალი სტანდარტები შეზღუდავს საქართველოში იმპორტირებულ, დაბალი ხარისხის პროდუქციას.

პრეფერენციული რეჟიმები ეხმარება მცირე ღია ეკონომიკებს განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე შეღწევაში. სქემაში ჩართვის სარგებელი შესაძლოა გამოხატული იქნეს ვაჭრობის გაზრდილი მაჩვენებლით, ინვესტორების მეტი ნდობითა და დახმარებით უფრო გამჭვირვალე სამართლებრივი გარემოს ფორმირებაში. პრეფერენციულ რეჟიმებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, მომხმარებლის სარგებელი (უკეთესი პროდუქცია უფრო დაბალ ფასად), ბაზრის განვითარება, გაფართოება და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები:

ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრული წესითა და პირობებით სხვადასხვა პუბლიკაციებში, მათ შორის ტომსონ როიტერის ინდექსირებულ შრომებში:

1. Tavartkiladze M. Preferential Trade Regimes as Tools for Integrating Small Countries into the World Trading System (Case of Georgia), STRATEGICA International Academic Conference, Bucharest, Romania, Oct 29-30, 2015.(ISBN 978-606-749-054-1, ISSN 2392-702X, **Citation Index ISI - Thomson Reuters)** http://strategica-conference.ro/wp-content/uploads/2016/01/Strategica-2015-Challenges-of-Integration-into-the-World-Economy.pdf
2. Tavartkiladze M. EU trade regimes and Prospects of their efficiency for small countries,EU-SPRI Early Career Researcher Conferences (ECC), IRCRES Rome, Italy, 14-15-16 October 2015. http://www.euspri-forum.eu/archives/ecc/ecc_october_2015/nieuw-categorien-1/;
3. თავართქილაძე მ. ქართული ექსპორტის არასატარიფო ბარიერები. ჟურნალი "საქართველოს ეკონომიკა", 2016. http://geoeconomics.ge/s=თავართქილაძე;
4. თავართქილაძე მ. პრეფერენცული სავაჭრო რეჟიმების გავლენა მსოფლიო ეკონომიკაში მცირე ქვეყნების ინტეგრირების წესრიგზე. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი", 2016.
5. თავართქილაძე მ. ევროკავშირის საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმების ეფექტიანობა მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში. კონფერენციის "გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები" მასალები. გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2009.
6. თავართქილაძე მ., შაბურიშვილი შ. საერთაშორისო სტრატეგიული ალიანსების სასიცოცხლო ციკლი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში" მასალები, თბ., 2010;
7. თავართქილაძე მ., შაბურიშვილი შ. საინვესტიციო ჯაჭვი ბიზნესის განვითარების პროცესში, თსუ, საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის "მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო" სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 2009

8. თავართქილაძე მ. საქართველო, როგორც GSP-ით (პრეფენერციათა განზოგადებული სისტემა) მოსარგებლე ქვეყანა და მისი როლი ექსპორტის წახალისებაში, თსუ, ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბ., 2004.